

სარგბიელი

საორტული გაზეთი

ოთხშაბათი 31 მარტი 1999 №57 (830)

ფასი 1 ლარი

საპარტიზო
პროგრესული
ბიბლიოთეკა

4 დედაიფა პრეპალია

ნიუიორკში მოვლილი დავით მუჯირი „დინამოდან“ თბილისის „ლოკომოტივში“ გადავიდა



ქუთაისში პერსონალი ბაკვირდა

ერთხანს საჩემპიონოდ შეგულებულმა „ტორპედომ“ წინა ტურში ბათუმში წაგებას გუშინ „ვიტ ჯორჯიასთან“ საშინაო მარცხიც მიაყოლა. ახლა ჩემპიონობას ვინდა ჩივის, მღვვარ „ლოკომოტივთან“ ბრძოლაში უმანდ ვერცხლის მედლებიც არ დაკარგოს.

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

5 მოდით, ვიბურთაო!

ოსი და ქართველი ვეტერანები ერთმანეთს ტერორისტებმა შეახვედრეს

8 სიტიმ რა ქნა?

გუნდი, რომელსაც ქართველები მაშინ არ ქობაგობდნენ



10 არჩევანი ფიფაზე

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა რვა ქვეყანას სურს. დღეს ორ მათგანს — ბრაზილიას და განას წარმოგიდგენთ

15 მერე რა, რომ ტაისონია?



რუინის მაიკს სასჯელი ერთი თვითაც არ შეუძლირეს

15 ბრეცკი ისტორიაში გადავიდა

ისმინა უფალმა „დიადის“ ვედრება და ისტორიული, 1072-ე შაიბა გაატახინა



ვალერი კატილაშვილი ფოტო

გუშინ ვაკეში. „ლოკომოტივი“ — „იბერია“: სამტრედიელთა მეკარე გუბაზ დოლიძემ და ვალერიან გვეგშიძემ ლოკომოტივის თავდამსხმელ კახა დაუშვილის (№9) შეტევა მოიგერიეს

საპარტიზო 20 ტურნი

29 მარტი, ორშაბათი

არსენალი	1
გორდა	0

30 მარტი, სამშაბათი

მერანი	2
სიონი	0
სამგურალი	0
კოლხეთი	1
დილა	1
ოდიში	0
გურია	0
ბათუმი	1
ლოკომოტივი	2
იზირია	0
ტორკადო	0
ვიტ ჯორჯია	1

31 მარტი, ოთხშაბათი

დინამო თსუ

დინამო	19	16	3	0	64:10	51
ტორკადო	20	14	2	4	48:18	44
ლოკომოტივი	20	10	10	0	25:8	40
კოლხეთი	20	10	4	6	43:32	34
ბათუმი	20	9	7	4	27:16	34
დილა	20	9	5	6	28:24	32
მერანი	20	6	9	5	21:20	27
არსენალი	20	5	8	7	23:36	23
ვიტ ჯორჯია (-3)	20	7	4	9	18:19	22
იზირია	20	6	4	10	29:36	22
სამგურალი	20	6	2	12	18:37	20
ოდიში	20	6	2	12	16:31	20
სიონი	20	5	4	11	18:39	19
გორდა	20	4	7	9	14:27	19
თსუ	19	3	6	10	15:26	15
გურია	20	3	3	14	21:49	12

შანსი ვისაც ჩააკვდა, იმან გადაათრიოს?

ვერთ 2000-ის მეორე შესარჩევ ჯგუფში საქართველოს ეროვნული ნაკრების წარუმატებელმა თამაშმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. განსაკუთრებით სლოვენების ნაკრებთან შინაური ფრის შემდეგ ალაპარაკდა ხალხი — აქაოდა, ვლადიმერ გუცაევის ნაცვლად ნაკრების თავკაცად სხვა კანდიდატურა შეიგულებსო. იყო ლაპარაკი დავით ყიფიანის, მურთაზ ხურცილავას და სხვათა შესახებ. ის კი არა, ზოგიერთი მეოცნების ფიქრი „ლატვიის წლის მამაკაცს“ — რეზო ძიძუაშვილისაც გადასწვდა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სამსახურს ამის თაობაზე რომ დავეკითხეთ, გვაცნობეს, ვინაიდან საქართველოს ნაკრებს ჯერაც დარჩა ევრო-2000-ზე მოხვედრის შანსი და კიდევ შეიძლება რაღაც მოხდეს, სფფ-ს თავკაცების აზრია, ვლადიმერ გუცაევის საქმიანობის გაგრძელების საშუალება მიეცეს.

ვერაფერს იტყვი, დიდსულოვანი და მოწყალე საქციელია. სხვათა შორის, არც უსაფუძვლო, რადგან ახლა „შინდისფერების“ თავკაცად ვინც ვინდა მოვიდეს, ერთი ხელის დაჯვრით ვერაფერს შეცვლის და აქედან გამომდინარე, მაინცდამაინც არც მოხალისეები გამოიძებნენ თავს.



ვლადიმერ გუცაევი

ვალერი კატილაშვილი ფოტო

პროცის ჩამოყვანის შესახებ მატჩები



დინო ძოფმა იტალიის ნაკრებს ბელარუსის შთამბეჭდავად ძღვევისკენ მოუწოდა

სარედაქციო არქივიდან

I ჯგუფი

ბელარუსთან იტალია აუცილებლად შეუტევს მე ვოლბე მონა — განაცხადა იტალიის ნაკრების მწვრთნელმა დინო ძოფმა. იტალიური სპორტული პრესის ცნობით, შესაძლოა, „სკუადრა აძურაში“ რამდენიმე ცვლილება მოხდეს. „გაძეგა დელო სპორტი“ წერს: „ფუხერსა და დი ფრანჩესკოს, ალბათ, ბაკინი და კონტე შეცვლიან, ხოლო თავდასხმაში ინძაგი ტოტისთან ერთად ითამაშებს“. დანიელბთან კონტეც და ტოტიც შეცვლავ შევიდნენ და წარმატება განაპირობას. სხვათა შორის, ფილიპო ინძაგის ცოტა დააკლდა, იტალიური ფეხბურთის რეკორდი რომ დაემხო — მან შმაიხელს ბურთი 36-ე წამზე გაუტანა, რეკორდი კი სალვატორე ბანის ეკუთვნის. 1984 წელს მექსიკასთან 5:0 მოგებულ თამაშში ბანიმ ანგარიში მე-20 წამზე გახსნა. ჯგუფის კიდევ ერთი ლიდერი, უელსი დღეს შევიცარიას ხედავს, მაგრამ გიგზის გარეშე — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველი ჩემპიონთა ლიგის მატჩში დაშავდა.

Table with 2 columns: Date, Match/Score

Table with 2 columns: Team, Goals/Points

Table with 2 columns: Date, Match/Score

II ჯგუფი

კონფლიქტი იუგოსლავიაში ჩვენს ჯგუფსაც შეეხო — უფამ დღესთვის დაგეგმილი სლოვენია — ალბანეთის შესარჩევი შეხვედრა 18 აგვისტოსთვის გადაიტანა.

Table with 2 columns: Date, Match/Score

III ჯგუფი

შესაძლებელია ჯგუფის ლიდერი შეიცვალოს — ჩრდილოეთ ირლანდიაში მასპინძელთა განადგურების შემდეგ გერმანელები ჩინებულ ხასიათზე არიან და ფინეთს განადგურებას იმდენდებენ. რაც შეეხება მოლდოვასა და ჩრდილოეთ ირლანდიას პაექრობას, უშეღავათო ბრძოლას უნდა ველოდეთ. ბელფასტში ექსსაბჭოელებმა ქულას გამოკრეს ხელი და უეჭველია, შინაც არ დაიხვეწენ უკან.

Table with 2 columns: Date, Match/Score

III ჯგუფი

შესაძლებელია ჯგუფის ლიდერი შეიცვალოს — ჩრდილოეთ ირლანდიაში მასპინძელთა განადგურების შემდეგ გერმანელები ჩინებულ ხასიათზე არიან და ფინეთს განადგურებას იმდენდებენ. რაც შეეხება მოლდოვასა და ჩრდილოეთ ირლანდიას პაექრობას, უშეღავათო ბრძოლას უნდა ველოდეთ. ბელფასტში ექსსაბჭოელებმა ქულას გამოკრეს ხელი და უეჭველია, შინაც არ დაიხვეწენ უკან.

Table with 2 columns: Date, Match/Score

IV ჯგუფი

ყველაფერი გადაწყვეტილი — ანდორამ, სომხეთმა და ისლანდიამ ძალიან ცუდ რომ მოინდომონ, მასპინძლებს ვერ შეეწინააღმდეგებიან. რუსეთი, საფრანგეთი და უკრაინა მეტოქეზე ერთი თავით მაღლა დგანან. ოლეგ რომანცევი, რუსეთის მწვრთნელი: „ანდორა უნდა გავანადგუროთ. დღი ანგარიშით მოგება შეგვიძლია“. იოჟეფ საბო, უკრაინის ნაკრების თავკაცი: „შეტევას გაავარებლებთ, გოლებია საჭირო“. როჟე ლემერი, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი: „ბურთების მარაგი უნდა შევიქმნათ.“

Table with 2 columns: Date, Match/Score

VI ჯგუფი

„ენიც ფიქრობს, რომ სან მარინოს 10:0 მოუუგებთ, ცდება. ცხადია, ვეცდებით, დღი ანგარიშით გავიმარჯვოთ, მაგრამ 10:0-ს ვერ შევპირდებით“ — ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამანო. ავსტრიელთა 9:0 განადგურების შემდეგ ესპანეთში შესანიშნავ ხასიათზე არიან. რას იზამს ესპანეთი? — გაიმარჯვებს ბევრ ბურთს გაიტანს? — ალბათ.

Table with 2 columns: Date, Match/Score

V ჯგუფი

პოლონეთი — შვედეთი 31 მარტის უპრინციპულეს თამაშებს მიეკუთვნება — ფრე არცერთს არ აძლევს ხელს. შევედება 27-ში მოიგეს, პოლონელებმა კი წააგეს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მასპინძლებს სკანდინავიები სჯობნიან. როხარდ ვუნიეკი, პოლონეთის მწვრთნელი: „შვედები აუცილებლად უნდა დაგვამარცხოთ. ჩვენი ბედი ამ მატჩში წყდება.“

Table with 2 columns: Date, Match/Score

VI ჯგუფი

„ენიც ფიქრობს, რომ სან მარინოს 10:0 მოუუგებთ, ცდება. ცხადია, ვეცდებით, დღი ანგარიშით გავიმარჯვოთ, მაგრამ 10:0-ს ვერ შევპირდებით“ — ესპანეთის ნაკრების მწვრთნელი ხოსე ანტონიო კამანო. ავსტრიელთა 9:0 განადგურების შემდეგ ესპანეთში შესანიშნავ ხასიათზე არიან. რას იზამს ესპანეთი? — გაიმარჯვებს ბევრ ბურთს გაიტანს? — ალბათ.

Table with 2 columns: Date, Match/Score

VII ჯგუფი

ლიდერები — პორტუგალია და რუმინეთი, საგარაუდოდ, სამ-სამ ქულას მოიპოვებენ. სლოვაკეთი — უნგრეთი ბევრ რამეს გაარკვევს. 02.09.98 რუმინეთი ლისტენშტაინი 7:0 05.09.98 სლოვაკეთი აზერბაიჯანი 3:0 06.09.98 უნგრეთი პორტუგალია 1:3 10.09.98 პორტუგალია რუმინეთი 0:1 11.09.98 ლისტენშტაინი სლოვაკეთი 0:4 10.10.98 აზერბაიჯანი უნგრეთი 0:4 14.10.98 სლოვაკეთი პორტუგალია 0:3 14.10.98 უნგრეთი რუმინეთი 1:1 14.10.98 ლისტენშტაინი აზერბაიჯანი 2:1 26.03.98 პორტუგალია აზერბაიჯანი 7:0 27.03.98 რუმინეთი სლოვაკეთი 0:0 27.03.98 უნგრეთი ლისტენშტაინი 5:0

Table with 2 columns: Date, Match/Score

Table with 2 columns: Date, Match/Score

VIII ჯგუფი

აქ ყველაფერი ძველებურადაა — სანამ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ომი მძვინვარებს, ამ ჯგუფს შესარჩევ ტურნირის განახლება არ უწყვიან.

Table with 2 columns: Date, Match/Score

მაკედონია — ირლანდია, იუგოსლავია — ხორვატია და იუგოსლავია — მაკედონია, ხორვატია — მაკედონიის ნახევარკუნძულზე შექმნილი საომარი ვითარების გამო გადაიდო.

Table with 2 columns: Team, Goals/Points

Table with 2 columns: Date, Match/Score

IX ჯგუფი

არც ჩეხეთს წაუგია აქამდე და არც შოტლანდიას. ბრიტანელები მასპინძლის რანგში კი არიან, მაგრამ საუკუნო, ჩეხეთი იოლად დაამარცხონ. სტუმართა ნახევარმცველ პაველ ნედედეს უთქვამს, სქოტებს კუდი თქვას ვასროლინებთო.

Table with 2 columns: Date, Match/Score

შოტლანდია — ბოსნია ბალკანეთის ნახევარკუნძულზე შექმნილი საომარი ვითარების გამო გადაიდო.

Table with 2 columns: Date, Match/Score

Table with 2 columns: Date, Match/Score



თსხეის გვლოგალთა თსნი

X გათაგაშეგა 1969-70 წლენი

მანესტერი სიტი

მანესტერი, ინგლისი

სოლოძონ ეკლისაძეილი



სრელი ისტორია



THE GREATEST CITY

ფინალის წინ. კაპიტენები: ბუჯი (მარცხენი) და ოსლობო

სიტომ რა მნა?

ბოლო წლებში ეს კითხვა ბევრ ქართველს აწუხებდა. ქინქლადის, ყაველაშვილის, შელიასა და ცხადადის მანესტერში გადასვლამ „სიტი“ ჩვენი ქობაგების საყვარელ გუნდად აქცია...

მებრძოლმა „გურნიკმა“ შეაჩერა. რომში პირველი ტაიმის შემდეგ პოლონელები იგებდნენ. 23-ე წუთზე ლიუბანსკის გადაცემით ბურთი ბანასმა გაიტანა.

ნახევარფინალურ წყვილში შანსებს თანაბრად აფასებდნენ. გელზენკირხენში, ინგლისელთა უპირატესობის მიუხედავად...

1970 წელს „სიტიმ“ თასების თასი მოიგო, მაგრამ ეს ამბავი ნახევარსაქართველოს არ გაუგია.

1969-70 წლები „სიტისათვის“ მართლაც გამორჩეული გამოდგა. ჯერ ქვეყნის თასი მოიგეს, თანაც ნახევარფინალში მოისახლე მტერი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხეს.

1970 წლის „სიტისათვის“ მართლაც გამორჩეული გამოდგა. ჯერ ქვეყნის თასი მოიგეს, თანაც ნახევარფინალში მოისახლე მტერი, „მანჩესტერ იუნაიტედი“ დაამარცხეს.

ტიტის მენეჯერი ჟო მერსერი მანჩესტერში დგინა — 2:2. ამ დრამატულმა დაპირისპირებამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა.



THE GREATEST CITY

სიტის მენეჯერი ჟო მერსერი მანჩესტერში

ერთი კვირის შემდეგ სტრასბურში გადათამაშება დაინიშნა. იქაც ლიუბანსკიმ და კაპლომ გაცვალეს გოლები და ისევ ფრე — 1:1.

იტალიელებს კიდევ ერთი უჩვეულო თავგადასავალი გადასდებოდა. ბელფასტში პირველი წრის მატჩი უნდა ეთამაშათ ადგილობრივ „არდსთან“.

დასახურებული ფინალისტი გახდა. როცა გადაამწყვეტი თამაშის გასამართ ადგილად ვენა დაასახელეს, მიმომხილველებმა მაშინვე თქვეს, სტადიონი სასაზევროდაც არ შეივება.

ლიტი 1970 წელს. მარცხნიდან დგანან: კონორი, პარლოუ, ჰესლოპი, დოუდი, კორიგანი, მულერნი, მენი, ბუთი, დოილი, ოუქსი, ჩეფრისი. სხედან: ბოუერი, პილი, სამერბი, ლი, ბუჯი, კეროდასი, იანგი, ბელი

ალბათ, იმანაც იმოქმედა, რომ საკმაოდ ცივი ამინდი იდგა და ფეხბურთის მოყვარულმა ტელევიზორებთან ჯდომა არჩიეს...

ადგილობრივი დროით რვის ნახევარზე პოლონელები მინდორზე საბრძოლო შემადგენლობით გავიდნენ, მანჩესტერელებს კი ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი მაიკ სამერი გამოაკლდა.

ლიტი 1970 წელს. მარცხნიდან დგანან: კონორი, პარლოუ, ჰესლოპი, დოუდი, კორიგანი, მულერნი, მენი, ბუთი, დოილი, ოუქსი, ჩეფრისი. სხედან: ბოუერი, პილი, სამერბი, ლი, ბუჯი, კეროდასი, იანგი, ბელი


ლიტი 1970 წელს. მარცხნიდან დგანან: კონორი, პარლოუ, ჰესლოპი, დოუდი, კორიგანი, მულერნი, მენი, ბუთი, დოილი, ოუქსი, ჩეფრისი. სხედან: ბოუერი, პილი, სამერბი, ლი, ბუჯი, კეროდასი, იანგი, ბელი



THE GREATEST CITY

Table with match results for various teams, including Manjestrer and others, with scores and dates.

ეს ის მოედანია



2000 წლის 10 ივნისიდან 2 ივლისამდე ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატზე ბელგიური ლიეჟის „სკლესინის“ სტადიონზე ამა თუ იმ ნაკრებს რომ მიიღებს... ჩვენ ეგებ დღემდე იმის იმედიც გვქონდეს, რომ მის ქორთა ბალახს ჩვენებურთა „შინდისფერი ლეგიონიც“ გათელავს. გუშინ კი სტადიონზე დიდი ზეიმი იყო და მისი ნათლობაც შედგა. საევროპოდ გამზადებული მოედანი პირველებმა ბელგიისა და ეგვიპტის ნაკრებების ფეხბურთელებმა ამხანაგურ მატჩში გათელეს.

როგორ მოიგო 5 მილიონი



სუმი მილიონი დოლარის მოსაგებად სულაც არაა საჭირო, იყო ადამიანი. საემარისია, შეის ჰამდამ ალ მაქთუმი საჯინობში რიგით ცხენად ცხოვრობდა და მხედრად თუნდაც ბრიტანელი რიჩარდ ჰილზი გყავდეს, რომ ხსენებული თანხა შენთან ისევე მოდიოდას, როგორც სქელგავიანი ჭავი საყოველთაო ამძღვრებისას... მოვლედ — დუბაის „ნად ალ შება“ რბოლაზე ცხენმა, რომელსაც ლამაზი სახელი აღმუთავაქელი ჰქვია, თავისი გადამთიელი მხედარი ფინიშის სანთან ყველაზე სწრაფად მიიყვანა და ამით თავის ბონუსს თავსაც არგო, კომპლია ბრიტანელ ფოკვისაც და ტრიბუნაზე თვალგებობრივად ფადიშაჰსაც.



ღებრთა ბაანათლოს

მსოფლიო მობრტორბლის სამხრეთაფრიკელი ჩემპიონის ბრეტ მაკლითდისთვის გუშინწინდელი რბოლა უკანასკნელი გამოდგა. საყვარელი მობრტორბლის საქემ ბიქს კიბლამის მშობლიური ტრასის პირველ წრეზევე უმუხთდა... მისი მოსაგონარი იყოს!

სარბიელი
სკორტული გაჯეთი
გამოიცვამა 1990 წლის
28 დეკემბრიდან
გამოდის სამუშაოს,
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ღვინცაშვილი
დირექტორი ბიორგი ოქროშვილი
რედაქტორი თამარ მიხრიაშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე ილია ბაბუნაშვილი
ავთანდილ ზურაბაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი მანანა ბაბუნაშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო ქობოლაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ბურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოციშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ზვიან სანიკიძე

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის შეხარჩვა მატჩები

I ჯგუფი
შვეიცარია 1:0 უელსი
1:0 იაკინი (2)

II ჯგუფი
ლატვია 0:2 საბარბანთი
0:1 ხუტოსი (15), 0:2 სირსიოპულოსი (45)

III ჯგუფი
მოლდოვა 0:0 ჩრდირლანდია
გერმანია 2:0 ფინეთი
1:0 ბლანკი (35), 2:0 ნერბაუერი (87)

IV ჯგუფი
უკრაინა 5:1 ისლანდია
0:1 გუდიონსონი (16), 1:1 ზუბოვი (45), 2:1 ოლეინიკი (48), 3:1 ბალიციკი (67), 4:1 ტიმოშჩუკი (71), 5:1 ვაშჩუკი (88)

V ჯგუფი
პოლონეთი 2:0 შვედეთი
1:0 ვინიარევი (7), 2:0 სობრაკი (40)

VI ჯგუფი
პოლანდია 0:1 ესპანეთი


VII ჯგუფი
სლოვაკეთი 4:1 უნგრეთი
1:0 გრეცკო (25), 2:0 ხედლაკი (41), 3:0 ბაბიკი (48), 4:0 ცინიგი (63), 4:1 ბალასკო (84)

აზარბაიჯანი 2:0 რუმინეთი
1:0 მუტუ (13), 2:0 ლუკა (27)

IX ჯგუფი
ლიტვა 4:1 ესტონეთი
1:0 გრეუინასი (27), 2:0, 3:0 პოშუხი (40, 48), 4:0 იოკუსი (60), 4:1 ოუნი (82)

გოტლანდია 0:1 ჩეხეთი
0:1 სიონკო (46)

ამხანაგური მატჩი
ბელგია 0:1 ეგვიპტე
0:1 იბამი (14)



ბელგია — ეგვიპტე. 0:1. ბელგიელი ემილ მპენზა (№9) და იბრაჰიმ ჰასანი

მსაჯყოფილს ცოდვაება უნია

მოსკოვის ერთ-ერთმა სასამართლომ რუსეთის პოეის ფედერაციის ან განსვენებული პრეზიდენტის, ვალენტინ სიჩის მკვლელობაში ეჭვმიტანილთა საქმე გააჩნია. გაარჩია და დანაშაულის დამტკიცებასა და ორგანიზატორს, ყოფილ მსაჯს, 44 წლის ალექსანდრ (სამა) არტემიევის 15 წლით პატიმრობა მიუსაჯა. 30 წლის ვიჩესლავ პჩელინცევიცმა, რომელმაც არტემიევის ვერავი ჩანაფიქრი „სისრულეში მოიყვანა“, 19 წლით თავისუფლების აღკვეთა მიიღო. ბანდის დანარჩენმა წევრები საზოგადოებას 4-დან 12 წლამდე ვადით მოსწყებოდნენ. ჩვენ კი ეგებ ის შეგახსენოთ, რომ ცხონებული სიჩის მკვლელობა 1997 წელს მოხდა. ოღონდ რატომ მოხდა ის, რაც მოხდა და ასე შემდეგ, ამაზე არამცტო ჩვენ, არამედ პატიმარი არტემიევიც ვერაფერს მოგახსენებთ.

უსწრაფესი კატამარანი



კატამარანის რაობა ეგებ განსოვდეთ კიდევ — აი, ნაუტივს რომ ჰგავს და ზღვისრეთელი პაპუსები გამოლლ წვლებში საჭიფოდ რომ ხმარობენ ხოლმე. პოდა, იქ ასეთი რეკორდიც არსებულა — ვისი კატამარანი დაფარავს უფრო მეტ საზღვაო მილს ერთი დღე-ღამის განმავლობაში. აქამოდელი მუდვეი 40 მილი ყოფილა. აი, გუშინ კი ფოტოზე აღბეჭდილმა სტივ ფოსეტმა (შუაში) და მისმა შანტრაამ თავის 32-მეტრეანი კატამარანით 24 საათში, არც მეტი, არც ნაკლები, 580 მილი გადალახა... ამ ხნის განმავლობაში ტივზე დაღუული სადღეგრძელობისა და კენჭურუს ნერწყვილგან დამზადებული შერბეთის შესახებ მსოფლიო სააგენტოები, როგორც არაფერს იუწყებიან...